გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწების (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 74.06.11.276, 74.06.11.719, 74.06.11.477, 74.06.11.714, 74.06.11.790, 74.06.11.390 სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N587 დადგენილების - „გუდურს სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2020 წლის 23 ოქტომბრის N93/ო ბრძანებისა და 2020 წლის 28 ოქტომბრის N7/20 ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავებული დოკუმენტაციის - გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწების (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 74.06.11.276, 74.06.11.719, 74.06.11.477, 74.06.11.714, 74.06.11.790, 74.06.11.390 სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვა;

საპროექტო ტერიტორია მდებაროებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე და მოიცავს 6 კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს: 74.06.11.276 – 3010 კვ.მ 74.06.11.719 – 600 კვ.მ 74.06.11.477 – 600 კვ.მ 74.06.11.714 – 600 კვ.მ 74.06.11.790 – 600 კვ.მ 74.06.11.390 – 600 კვ.მ საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება საავტომობილო მაგისტრალი: მცხეთა - სტეფანწმინდა - ლარსი,

საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საკურორტო ზონა 1 (შზ-6), რომლის სამშენებლო პარამეტრებია: მაქსიმალური სართულიანობა - 3 სართული ან 2 სართული და მანსარდა. მაქსიმალური სიმაღლე - კედლის ბოლომდე 8 მეტრი და კეხში 10 მეტრი. კ1 კოეფიციენტი - 0.4 და კ3 კოეფიციენტი - 0.3.

სასტუმრო კომპლექსში იგეგმება 100-105 ნომრის განთავსება, ხოლო აღნიშნული ნომრებისთვის ავტოსადგომების დაანგარიშება მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად, 1 ყოველ 4 საძინებელ/საწოლ ერთეულზე.

საპროექტო ტერიტორიაზე სასტუმრო კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 10 სამუშაო დღის ვადაში 2021 წლის 7 ივლისამდე, შემდეგი ელექტორნული ფოსტის მეშვეობით: sajaro.gankhilvebi@mrdi.gov.ge